Research

შინამეურნეობების შემოსავლები და შემოსავლების უთანასწორობა საქართველოში (2013-2022)

2023

შინამეურნეობების შემოსავლები და შემოსავლების უთანასწორობა საქართველოში (2013-2022)

ნიკოლოზ ბაქრაძე
სოფო ბასილიძე
ნიკოლოზ ნურაშვილი

სარჩევი

ძირითადი მიგნებები 3

შესავალი 6

GINI ინდექსი 8

შინამეურნეობების მედიანური შემოსავლის განაწილება საქართველოში 9

შინამეურნეობების მედიანური შემოსავლის განაწილება საქართველოს
საქალაქო და სასოფლო ტიპის დასახლებებში 15

შინამეურნეობების მედიანური შემოსავლის განაწილება
საქართველოს რეგიონებში 19

შინამეურნეობის შემოსავალი და შემოსავლის უთანასწორობა ეროვნულ დონეზე[1]

- ბოლო ათწლეულში საქართველოში GINI ინდექსის საშუალო მაჩვენებელი 0.4 იყო, რაც აღნიშნავს შემოსავლების მაღალ უთანასწორობას.[2] თუმცა 2018 წლიდან GINI ინდექსის მაჩვენებელმა კლება დაიწყო და 0.3-0.4 დიაპაზონში გადაინაცვლა, რაც ნიშნავს, რომ საქართველო გადავიდა შემოსავლების შედარებით უთანასწორო კატეგორიაში. უკანასკნელ ათწლეულში GINI ინდექსის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი 2022 წელს დაფიქსირდა - 0.36 ქულა.
- GINI ინდექსის შემცირების მიუხედავად, საქართველოს კვლავ აქვს უთანასწორობის უფრო მაღალი მაჩვენებელი ევროკავშირის, შავი ზღვის რეგიონისა[3] და მეზობელ ქვეყნებთან შედარებით.[4]
- ბოლო ათწლეულში საქართველოში მნიშვნელოვნად გაიზარდა შინამეურნეობების ნომინალური მედიანური შემოსავალი 650 ლარიდან 1,145 ლარამდე (75%-ით). თუმცა, ამავე პერიოდში ლარის კურსის შესამჩნევი გაუფასურების გამო, ინფლაციაზე მორგებული მაჩვენებლის მიხედვით შინამეურნეობების რეალური შემოსავალი მხოლოდ 15%-ით გაიზარდა.
- საქართველოში, შინამეურნეობების შემოსავლების გადანაწილების შესასწავლად, განვიხილეთ საზოგადოების სხვადასხვა სეგმენტი მათი შინამეურნეობების კვინტილებად დაყოფით. თითოეული კვინტილი წარმოადგენს მოსახლეობის 20%-ს, პირველი კვინტილი მოიცავს ყველაზე დაბალშემოსავლიან შინამეურნეობებს, ხოლო მეხუთე კვინტილი - ყველაზე მაღალშემოსავლიან შინამეურნეობებს. კვინტილების მიხედვით შინამეურნეობების შემოსავლების განაწილების ანალიზით ცხადი ხდება, რომ:

---

1 აღნიშნული ანგარიშის ანალიზი ეფუძნება საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატის) შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების კვლევას.

2 მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს საერთაშორისოდ განსაზღვრული სტანდარტული ათვლის მაჩვენებლები, მიჩნეულია, რომ GINI-ს ინდექსი <0.2 აღნიშნავს შემოსავლების თანასწორობას, 0.2-0.3 აღნიშნავს შემოსავლების დაბალ უთანასწორობას, 0.3-0.4 აღნიშნავს შემოსავლების უთანასწორობას, 0.4-0.5 შეესაბამება შემოსავლების მაღალ უთანასწორობას, 0.5> აღნიშნავს შესამჩენვად მაღალ უთანასწორობას.

3 შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებში შედის თურქეთი, რუსეთი, რუმინეთი, ბულგარეთი, უკრაინა.

4 მეზობელი ქვეყნებში შედის თურქეთი, რუსეთი და სომხეთი. აზერბაიჯანზე ანალიზი არ განხორციელებულა, რადგან GINI-ს ინდექსის შესახებ მონაცემი არ არის ხელმისაწვდომი.

- ბოლო ათწლეულში შინამეურნეობების მედიანური ნომინალური შემოსავალი გაიზარდა საზოგადოების ყველა სეგმენტში, ყველაზე მაღალი პროცენტული ზრდა დაფიქსირდა II, III და IV კვინტილში. I და V კვინტილებში შემოსავლების ზრდა შედარებით დაბალი იყო.
- აღსანიშნავია, რომ, მიუხედავად უმნიშვნელო კლებისა, სხვაობა შინამეურნეობების ნომინალურ მედიანურ შემოსავალებს შორის ყველაზე მდიდარ 20%-სა (V კვინტილი) და ყველაზე ღარიბ 20%-ს (I კვინტილი) შორის მნიშვნელოვანი რჩება. 2022 წელს V კვინტილში შინამეურნეობების საშუალო ნომინალური შემოსავალი 7.3-ჯერ აღემატებოდა I კვინტილს.
- გასულ ათწლეულში, ყველაზე დაბალი შემოსავლიანი სეგმენტის (I კვინტილი) ძირითადი შემოსავლის წყარო იყო პენსიები, სტიპენდიები და დახმარება, ხოლო დასაქმებიდან მიღებულ შემოსავალს დაბალი წილი ჰქონდა. აღსანიშნავია, რომ პენსიებიდან, სტიპენდიებიდან და დახმარებებიდან მიღებული შემოსავლების წილი 2013 წელს 47%-დან 2022 წელს 56%-მდე გაიზარდა, ხოლო დასაქმების წილი 15%-დან 10%-მდე შემცირდა.
- გასულ ათწლეულში, ყველაზე მაღალშემოსავლიანი სეგმენტის (V კვინტილი) ძირითად შემოსავლის წყაროს დასაქმება წარმოადგენდა, ხოლო პენსიების, სტიპენდიების და დახმარების წილი მცირე იყო. ამ სეგმენტისთვის ბოლო ათწლეულში დასაქმებიდან მიღებული შემოსავლის წილი 50%-დან 56%-მდე გაიზარდა, ხოლო პენსიების, სტიპენდიებისა და დახმარების წილი - 5%-დან 9%-მდე.
- I, III და V კვინტილების შემოსავლის წყაროებში შეინიშნება პოზიტიური კორელაცია დასაქმებიდან მიღებული შემოსავლის მაღალ წილსა და შემოსავლის მაღალ დონეს შორის. ხოლო პენსიების, სტიპენდიებისა და დახმარების მაღალი წილი ასოცირდება დაბალ შემოსავალთან. აღსანიშნავია, რომ ბოლო ათწლეულში შინამეურნეობების ყველაზე დაბალ შემოსავლიანი 20%-ის (I კვინტილის) დამოკიდებულება სახელმწიფო დახმარებებზე გაიზარდა.

შინამეურნეობის შემოსავალი და შემოსავლის უთანასწორობა საქალაქო და სასოფლო დასახლებებს შორის

- ისტორიულად საქალაქო ტიპის დასახლებებში შემოსავლის დონე უფრო მაღალი იყო, სასოფლო ტიპის დასახლებებთან შედარებით. თუმცა გასულ ათწლეულში სხვაობა შემცირდა და 2022 წელს სასოფლო

ტიპის დასახლებებმა გაუსწრო საქალაქო დასახლებებს შინამეურნეობების ნომინალური მედიანური შემოსავლის მიხედვით. ეს ცვლილება შეიძლება გამოწვეული იყოს სასოფლო ტიპის დასახლებებში დასაქმებიდან მიღებული შემოსავლების ზრდით.

- 2013-2022 წლებში საქართველოში საქალაქო ტიპის დასახლებებში შემოსავლების უთანასწორობამ დაიკლო. ამის საპირისპიროდ კი შემოსავლების უთანასწორობა იზრდება სასოფლო ტიპის დასახლებებში.

შინამეურნეობების შემოსავალი რეგიონებში და შემოსავლების უთანასწორობა რეგიონებს შორის

- უკანასკნელ ათწლეულში შინამეურნეობების ნომინალური მედიანური შემოსავალი გაიზარდა საქართველოს ყველა რეგიონში. გაანალიზებულ პერიოდში რეგიონებს შორის, თბილისსა და აჭარაში ეროვნულ ნიშნულზე მაღალი შემოსავალი ფიქსირდებოდა. თუმცა 2022 წელს სამცხე-ჯავახეთმა, აჭარამ, კახეთმა, იმერეთმა, რაჭა-ლეჩხუმმა და ქვემო სვანეთმა[5] გადააჭარბეს შინამეურნეობების ეროვნულ მედიანურ შემოსავალს, ხოლო თბილისი მას ჩამორჩა.
- 2013-2022 წლებში შინამეურნეობის შემოსავლების უთანასწორობა რეგიონებს შორის ოდნავ შემცირდა. მიუხედავად ამისა, რეგიონებს შორის შინამეურნეობების შემოსავლებს შორის სხვაობა მნიშვნელოვანი რჩება.
- 2022 წლის მდგომარეობით, საქართველოს ყველაზე მაღალშემოსავლიანი რეგიონის შინამეურნეობების ნომინალური მედიანური შემოსავალი თითქმის ორჯერ აღემატება ყველაზე დაბალი შემოსავლის მქონე რეგიონის მაჩვენებელს. გარდა ამისა, ყველაზე მაღალშემოსავლიანი რეგიონის შინამეურნეობის შემოსავალი 1.4-ჯერ აღემატება საშუალო შემოსავლის მქონე რეგიონს.

[5] იმერეთის და რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთის მონაცემები გაანალიზებულია ერთად, რადგან შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების გამოკვლევაში 2019 წლამდე აღნიშნულ რეგიონზე მონაცემები ცალ-ცალკე არ მოიპოვება.

შესავალი

გასულ ათწლეულში საქართველოს ეკონომიკა სხვადასხვა მიმართულებით გაუმჯობესდა. მაგალითად, 2013-2022 წლებში ქვეყნის მშპ ერთ სულ მოსახლეზე გაიზარდა 44%-ით და $6,672[6] შეადგინა. გარდა ამისა, ამავე პერიოდში აბსოლუტურ სიღარიბეში მცხოვრები მოსახლეობის წილი 26.2%-დან 15.6%-მდე,[7] ხოლო უმუშევრობის დონე 26.4%-დან 17.3%-მდე შემცირდა.[8]

მიუხედავად ამ პოზიტიური ტენდენციებისა, საზოგადოებრივი გამოკითხვები აჩვენებს, რომ სიღარიბე და მასთან დაკავშირებული საკითხები, როგორიცაა უმუშევრობა და დაბალი ხელფასები, კვლავაც მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება ქართული საზოგადოებისთვის. CRRC საქართველოს მიერ ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, 2013 წელს[9] რესპონდენტთა 30% მიიჩნევდა, რომ სიღარიბე ქვეყნის მასშტაბით მთავარი პრობლემა იყო და ეს მაჩვენებელი უცვლელი დარჩა 2022 წელს.[10] უფრო მეტიც, უთანასწორობის სხვადასხვა საზომიდან, როგორიცაა GINI კოეფიციენტი, ჩანს, რომ შემოსავლების უთანასწორობა[11] საქართველოში მაღალ ნიშნულზეა, 0.36 ქულა 2022 წლის მონაცემით.[12]

ამ გარემოებებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ზოგადი ეკონომიკური ზრდა საზოგადოების ყველა სეგმენტზე თანაბრად არ ნაწილდება. აქედან გამომდინარე, მოსახლეობაში შემოსავლების გადანაწილების შესწავლას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს შემოსავლების უთანასწორობის სრულყოფილად გასაგებად. აღსანიშნავია, რომ შემოსავლების უთანასწორობის პრობლემის გადაჭრა მხოლოდ სოციალური სამართლიანობის საკითხი არ არის, არამედ მდგრადი ეკონომიკური ზრდისა და საზოგადოების კეთილდღეობის მნიშვნელოვანი ელემენტია.

---

6 https://www.geostat.ge/ka/modules/categories/23/mtliani-shida-produkti-mshp

7 https://www.geostat.ge/en/modules/categories/192/living-conditions

8 https://www.geostat.ge/en/modules/categories/37/employment-and-wages

9 https://www.ndi.org/sites/default/files/Georgia-Public-Attitudes-Poll-121813-ENG.pdf

10 https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20Georgia_December%202022%20poll_public%20version_ENG_vf.pdf

11 https://www.geostat.ge/en/modules/categories/192/living-conditions

12 GINI ინდექსი ზომავს, რამდენად თანაბრად ნაწილდება შემოსავალი საზოგადოებაზე, სადაც 0 ნიშნავს სრულყოფილ თანასწორობას, 1 კი სრულყოფილ უთანასწორობას. Inequality - Income inequality - OECD Data.

წინამდებარე ანგარიში მიზნად ისახავს საქართველოში შინამეურნეობების შემოსავლების განაწილების ანალიზს და შემოსავლების უთანასწორობის გაანალიზებას GINI კოეფიციენტის ტრადიციული საზომის მიღმა, შემოსავლის გადანაწილების დამატებითი მაჩვენებლების შესწავლით. უფრო კონკრეტულად კი ანგარიშში შედარებული იქნება საზოგადოების სხვადასხვა სეგმენტის შემოსავალი, შინამეურნეობების შემოსავალი სასოფლო და საქალაქო ტიპის დასახლებებში და რეგიონებს შორის.

GINI ინდექსი

ბოლო ათწლეულში (2013-2022 წწ.) საქართველოში GINI ინდექსის საშუალო მაჩვენებელი 0.4 ქულა იყო, რაც შეესაბამება შემოსავლების მაღალ უთანასწორობას. თუმცა აღსანიშნავია, რომ 2018 წლიდან მოყოლებული, GINI ინდექსის მაჩვენებელი 0.4 ქულის ნიშნულს ჩამოსცდა, რაც ნიშნავს, რომ საქართველო გადავიდა შემოსავლების შედარებით უთანასწორო კატეგორიაში. ამასთან, 2018 წლიდან ინდექსმა დაიკლო და ბოლო ათწლეულში ყველაზე დაბალი მაჩვენებელი 2022 წელს დაფიქსირდა - 0.36 ქულა.

საქართველოს GINI ინდექსის მეზობელ, შავი ზღვის რეგიონისა და ევროკავშირის ქვეყნებთან შედარებისას ჩანს, რომ საქართველოში უფრო მაღალი GINI კოეფიციენტია და, შესაბამისად, მაღალი უთანასწორობაც. ბოლო ათწლეულში ყველაზე მაღალი სხვაობა იყო საქართველოსა და ევროკავშირის ქვეყნებს შორის, რასაც მოჰყვება შავი ზღვის რეგიონისა და მეზობელი ქვეყნები.

გრაფიკი 1: GINI ინდექსი



წყარო: საქსტატი - შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების კვლევა; მსოფლიო ბანკი; ევროსტატი

შინამეურნეობების მედიანური შემოსავლის განაწილება საქართველოში

ვინაიდან საქართველოში შინამეურნეობის შემოსავლის მაღალი GINI კოეფიციენტი შეინიშნება, გონივრული იქნება, თუ შემოსავლებს საშუალოს ნაცვლად მედიანური შემოსავლის საზომით გავაანალიზებთ.[13] მედიანა ცენტრალური ტენდენციის უფრო მძლავრი საზომია, როდესაც გამოკვეთილმა ან ექსტრემალურმა ნიშნულებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს საშუალო მაჩვენებელზე. ამრიგად, შემოსავლის მედიანური საზომის გამოყენებით შეგვიძლია, მივიღოთ საქართველოში შემოსავლის განაწილების უფრო ზუსტი და სანდო სურათი.

ბოლო ათწლეულში, საქართველოში შინამეურნეობების ნომინალური მედიანური შემოსავალი მნიშვნელოვნად გაიზარდა. 2013 წლიდან 2022 წლამდე ეს მაჩვენებელი 75%-ით გაიზარდა და 1,145 ლარი გახდა. აღსანიშნავია, რომ წინა წელთან შედარებით, ყველაზე მაღალი - 20%-იანი ზრდა 2022 წელს დაფიქსირდა.

თუმცა, თუ ბოლო ათწლეულში საქართველოში ინფლაციის მაღალ მაჩვენებელს (საშუალოდ წლიური 5%) გავითვალისწინებთ, ინფლაციაზე მორგებული შინამეურნეობების მედიანური შემოსავალი ნომინალურთან შედარებით საკმაოდ განსხვავებულ ტენდენციაზე მიუთითებს. მაგალითად, 2013 წლიდან 2022 წლამდე შინამეურნეობების რეალური მედიანური შემოსავალი მხოლოდ 15%-ით გაიზარდა და 745 ლარი შეადგინა.

გრაფიკი 2: შინამეურნეობის ნომინალური და რეალური მედიანური შემოსავალი ლარებში



წყარო: საქსტატი - შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების კვლევა, PMC კვლევითი ცენტრის გამოთვლები

[13] შინამეურნეობის მედიანური შემოსავალი არის შემოსავლის წყვეტა, სადაც შინამეურნეობების ნახევარი მეტს იღებს, ნახევარი კი ნაკლებს. შინამეურნეობის საშუალო შემოსავალი არის შემოსავალი, რომელიც ყველა შინამეურნეობას ექნებოდა, თუ ყველა შინამეურნეობის მთლიანი შემოსავალი თანაბრად გადანაწილდებოდა ყველა ოჯახს შორის. https://webtribunal.net/blog/what-is-median-household-income

საქართველოში შინამეურნეობების შემოსავლების განაწილების სრულყოფილად აღქმისთვის მნიშვნელოვანია საზოგადოების სხვადასხვა სეგმენტს შორის შემოსავლების გადანაწილების ანალიზი. ამისათვის სასარგებლო მეთოდია შინამეურნეობების დაყოფა კვინტილებად. კვინტილების გამოყენებით მოსახლეობა იყოფა ხუთ თანაბარ ჯგუფად შემოსავლების მიხედვით. თითოეული კვინტილი წარმოადგენს მოსახლეობის 20%-ს. I კვინტილი მოიცავს ყველაზე დაბალი შემოსავლის მქონე შინამეურნეობების 20%-ს, ხოლო V კვინტილი ყველაზე მაღალი შემოსავლის მქონე შინამეურნეობების 20%-ს. კვინტილების გამოყენებით შემოსავლების გადანაწილების ანალიზით შეგვიძლია, გამოვავლინოთ საქართველოს მოსახლეობის სხვადასხვა სეგმენტს შორის შინამეურნეობების შემოსავლის უთანასწორობა.

შინამეურნეობების შემოსავლების განაწილების ანალიზი ბოლო ათწლეულში ცხადყოფს, რომ თითოეულ კვინტილში ნომინალური მედიანური შემოსავალი გაიზარდა. თუმცა, ზრდის ტემპი კვინტილებს შორის განსხვავდებოდა. I კვინტილისთვის (ყველაზე დაბალი შემოსავლის მქონე შინამეურნეობების 20%) და V კვინტილისთვის (ყველაზე მაღალი შემოსავლის მქონე შინამეურნეობების 20%) შემოსავლები ყველაზე ნაკლებად გაიზარდა (73% და 62%, შესაბამისად), ხოლო დანარჩენ სამ კვინტილს შორის ზრდა 80%-დან და 82%-მდე მერყეობდა. აღსანიშნავია, რომ 2020 წელს შინამეურნეობების ნომინალური მედიანური შემოსავალი ყველა კვინტილში შემცირდა, გარდა I და II-ისა. რაც მიუთითებს იმაზე, რომ COVID-19-ის პანდემიის დროს[14] მთავრობის მხრიდან გაზრდილმა სოციალურმა დახმარებამ დაბალშემოსავლიანი ოჯახები გარკვეულწილად დაიცვა კიდევ უფრო გაღარიბებისგან.

გასულ ათწლეულში შინამეურნეობების ნომინალური მედიანური შემოსავლის საერთო ზრდის მიუხედავად, შინამეურნეობების სხვადასხვა სეგმენტს შორის შემოსავლის დონეებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებები აღინიშნება, განსაკუთრებით მეხუთე კვინტილს (ყველაზე მაღალი შემოსავლის მქონე შინამეურნეობების 20%) და სხვა კვინტილებს შორის. მაგალითად, საშუალოდ, მეხუთე კვინტილის შინამეურნეობებს ჰქონდათ 1.3-ჯერ მეტი ნომინალური მედიანური შემოსავალი, პირველი სამი კვინტილის შემოსავლების ჯამთან შედარებით.

აღსანიშნავია, რომ სხვაობა შინამეურნეობის ნომინალურ მედიანურ შემოსავალში V კვინტილს (უმაღლესი შემოსავლის სეგმენტი) და I კვინტილს (ყველაზე დაბალი შემოსავლის სეგმენტი) შორის ბოლო ათწლეულში ოდნავ შემცირდა. უფრო ზუსტად, 2013 წელს V კვინტილის შინამეურნეობების მედიანური ნომინალური შემოსავალი 7.8-ჯერ მეტი იყო I-თან შედარებით,

[14] საარსებო შემწეობა საქართველოში (2018-2022).

ხოლო 2022 წელს ეს რიცხვი 7.3-მდე შემცირდა. თუმცა 2022 წელს V კვინტილსა და I კვინტილს შორის განსხვავება, 2021 წელთან შედარებით, 0.5 პროცენტული პუნქტით გაიზარდა. იგივე შეიძლება ითქვას განსხვავება-ზე V კვინტილსა და III კვინტილს შორის (საშუალო შემოსავლის სეგმენტი), რომელიც ბოლო ათწლეულში 2.8-დან 2.5-მდე შემცირდა.

გრაფიკი 3: შინამეურნეობების ნომინალური მედიანური შემოსავლის გადანაწილება კვინტილების მიხედვით ლარებში



წყარო: საქსტატი - შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების კვლევა, PMC კვლევითი ცენტრის გამოთვლები

I, III და V კვინტილში შემოსავლის წყაროების[15] გაანალიზებამ შეიძლება გვაჩვენოს მნიშვნელოვანი განსხვავებები საზოგადოების უმაღლესი (V), საშუალო (III) და ყველაზე დაბალი (I) შემოსავლის სეგმენტებს შორის.

ბოლო ათწლეულში I კვინტილში (ყველაზე დაბალი შემოსავლის სეგმენტი) შემოსავლის ძირითადი წყარო პენსიები, სტიპენდიები და დახმარება იყო, ხოლო დასაქმებიდან[16] მიღებული შემოსავლის წილი შედარებით დაბალი იყო. გარდა ამისა, პენსიების, სტიპენდიებისა და დახმარების წილი 2013

[15] საქსტატის შინამეურნეობების შემოსავლებსა და ხარჯების კვლევაში შემოსავლების წყაროები განისაზღვრება შემდეგნაირად: დაქირავებით შრომიდან; თვითდასაქმებიდან; სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან; ქონებიდან (გაქირავებიდან, სხვა); პენსიები, სტიპენდიები, დახმარებები; ფულადი გზავნილები საზღვარგარეთიდან; საჩუქრად მიღებული ფული; არაფულადი შემოსავლები; ქონების გაყიდვა; სესხება და დანაზოგი.

[16] დასაქმებაში იგულისხმება დაქირავებით შრომიდან და თვით დასაქმებიდან მიღებული შემოსავლების ჯამი.

წლიდან, 2022 წლამდე, 47%-დან 56%-მდე გაიზარდა, ხოლო დასაქმების წილი 15%-დან 10%-მდე შემცირდა. აღსანიშნავია, რომ ბოლო ათწლეულში, I კვინტილისთვის მეორე ყველაზე მნიშვნელოვანი შემოსავლის წყარო იყო ფულადი გზავნილები და საჩუქრად მიღებული ფული, რომლის წილიც მთლიან შემოსავალში, გაანალიზებულ პერიოდში 17%-დან 20%-მდე გაიზარდა. ეს იმაზე მეტყველებს, რომ დროთა განმავლობაში ყველაზე დაბალი შემოსავლის მქონე სეგმენტი უფრო მეტად გახდა დამოკიდებული სახელმწიფოს სოციალურ დახმარებასა და ფულად გზავნილებზე.

გრაფიკი 4: შემოსავლის წყაროების წილი I კვინტილის მიხედვით



წყარო: საქსტატი - შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების კვლევა, PMC კვლევითი ცენტრის გამოთვლები

მესამე კვინტილში (საშუალო შემოსავლის სეგმენტი) დასაქმების წილი, როგორც შემოსავლის წყარო, საგრძნობლად მაღალია I კვინტილთან შედარებით. აღსანიშნავია, რომ ბოლო ათწლეულში დასაქმებიდან შემოსავლები III კვინტილში შესამჩნევად გაიზარდა, 36%-იდან 47%-მდე. მეორე მხრივ, პენსიებიდან, სტიპენდიებიდან და დახმარებებიდან მიღებული შემოსავლების წილი პირველ კვინტილთან შედარებით უფრო მცირეა, მაგრამ ბოლო ათი წლის მანძილზე იზრდება (22%-დან 27%-მდე).

გრაფიკი 5: შემოსავლის წყაროების წილი III კვინტილის მიხედვით



წყარო: საქსტატი - შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების კვლევა, PMC კვლევითი ცენტრის გამოთვლები

V კვინტილში (უმაღლესი შემოსავლის სეგმენტი) შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს დასაქმება, ხოლო პენსიების, სტიპენდიებისა და დახმარების წილი მცირეა. აღსანიშნავია, რომ ბოლო ათწლეულში დასაქმების წილი 50%-დან 56%-მდე გაიზარდა, ხოლო პენსიების, სტიპენდიებისა და დახმარების წილი 5%-დან 9%-მდე.

გრაფიკი 6: შემოსავლის წყაროების წილი V კვინტილის მიხედვით



წყარო: საქსტატი - შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების კვლევა, PMC კვლევითი ცენტრის გამოთვლები

საზოგადოების სხვადასხვა სეგმენტში შინამეურნეობების შემოსავლების ანალიზისას იკვეთება პოზიტიური კორელაცია დასაქმებიდან მიღებული შემოსავლის წილსა და ოჯახის მთლიან შემოსავალს შორის. მაგალითად, ყველაზე დაბალი შემოსავლის სეგმენტს (I კვინტილი) მთლიან შემოსავლებში დასაქმებიდან მიღებული შემოსავლის გაცილებით დაბალი წილი აქვს ვიდრე III და V კვინტილებს. კერძოდ, ბოლო ათწლეულში I კვინტილში საშუალოდ შინამეურნეობების მხოლოდ 19% იღებდა დასაქმებიდან შემოსავალს, III კვინტილში - საშუალოდ 62%, ხოლო V კვინტილში - 84%. საპირისპიროდ კი, პენსიებიდან, სტიპენდიებიდან და დახმარებებიდან მიღებული შემოსავლების მაღალი წილი მთლიან შემოსავლის დაბალ დონეს უკავშირდება.

აღსანიშნავია, რომ ბოლო ათწლეულში პენსიების, სტიპენდიებისა და დახმარების წილი გაიზარდა ყველა კვინტილში. თუმცა III და V კვინტილში ზრდა გამოიწვია საქართველოში საბაზისო პენსიის ოდენობის მატებამ.[17] I კვინტილში კი ზრდა გამოიწვია როგორც პენსიების, ისე სხვადასხვა სახელმწიფო სოციალური დახმარებების მატებამ, როგორიცაა საარსებო შემწეობის ფინანსური პაკეტის ზრდა და საზოგადოებაში შემწეობის მიმღები მოსახლეობის ზრდა.[18]

[17] საპენსიო სისტემა საქართველოში (2017-2021).

[18] Subsistence allowance in Georgia (2018-2022).

შინამეურნეობების მედიანური შემოსავლის განაწილება საქართველოს საქალაქო და სასოფლო ტიპის დასახლებებში

ბოლო ათწლეულში, საქართველოს სასოფლო და საქალაქო ტიპის დასახლებებში შინამეურნეობების ნომინალური მედიანური შემოსავლის გაანალიზებისას[19] საინტერესო ტენდენცია იკვეთება. 2013-დან 2019 წლამდე საქალაქო ტიპის დასახლებების ნომინალური მედიანური შემოსავალი საშუალოდ 1.3-ჯერ მეტი იყო, ვიდრე სასოფლო დასახლებებში. თუმცა, 2020 წლიდან მოყოლებული, სხვაობა შესამჩნევად შემცირდა და სასოფლო დასახლებებისა და საქალაქო დასახლებების მაჩვენებელი დაუახლოვდა ეროვნული ნომინალური მედიანური შემოსავლის დონეს.

აღსანიშნავია, რომ 2022 წელს სასოფლო ტიპის დასახლებების შინამეურნეობების ნომინალურმა მედიანურმა შემოსავალმა საქალაქო ტიპის დასახლებების მაჩვენებელს გადაუსწრო. ზემოაღნიშნული ტენდენციის გათვალისწინებით, გასაკვირი არ არის, რომ ბოლო ათწლეულში, ნომინალური მედიანური შემოსავალი სასოფლო ტიპის დასახლებებში უფრო შესამჩნევად გაიზარდა (101%), ვიდრე საქალაქო ტიპის დასახლებებში (56%).

თუმცა, ინფლაციაზე მორგებული შინამეურნეობების მედიანური შემოსავლის ანალიზი განსხვავებულ სურათს ასახავს. კერძოდ, 2013 წლიდან 2022 წლამდე შინამეურნეობების რეალური მედიანური შემოსავალი საქალაქო ტიპის დასახლებებში მცირედით გაიზარდა, მხოლოდ 3%-ით, ხოლო სასოფლო ტიპის დასახლებებში შედარებით მეტად - 30%-ით.

გრაფიკი 7: შინამეურნეობების ნომინალური მედიანა და რეალური მედიანური შემოსავალი



წყარო: საქსტატი - შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების კვლევა, PMC კვლევითი ცენტრის გამოთვლები

[19] საშუალოდ 2013 წლიდან 2022 წლამდე საქართველოს მოსახლეობის 58% ქალაქებში ცხოვრობდა.

საქალაქო და სასოფლო ტიპის დასახლებების შინამეურნეობების შემოსავლების კონვერგენციის გასაგებად, უნდა გავაანალიზოთ გასულ ათწლეულში შემოსავლის წყაროების ცვლილებები. საქალაქო ტიპის დასახლებებში, ამ პერიოდის განმავლობაში ძირითადი შემოსავლის წყარო იყო დასაქმება, და შემოსავალი პენსიიდან, სტიპენდიიდან და დახმარებიდან. ამ კატეგორიების ერთობლივი წილი 2013 წლიდან 2022 წლამდე 66%-დან 79%-მდე გაიზარდა (ბოლო ათწლეულში დასაქმებიდან მიღებული წილი 56%-დან 62%-მდე გაიზარდა).

სასოფლო ტიპის დასახლებებში შემოსავლის წყაროები, საქალაქო ტიპის დასახლებებთან შედარებით, უფრო დივერსიფიცირებულია. თუმცა უკანასკნელ ათწლეულში დასაქმების წილი, როგორც შემოსავლის წყარო, 10 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 34%-ს მიაღწია. დასაქმების, როგორც შემოსავლის წყაროს წილის მნიშვნელოვანმა ზრდამ შეიძლება ხელი შეუწყო სასოფლო ტიპის დასახლებებში შინამეურნეობების შემოსავლის ზრდას.

აღსანიშნავია, რომ სასოფლო ტიპის დასახლებებში დასაქმების, როგორც შემოსავლის წყაროს ზრდა, არ არის გამოწვეული დასაქმების მაჩვენებლის ზრდით (2013 წლიდან 2022 წლამდე დასაქმების მაჩვენებელი გაიზარდა სოფლად 39.4%-დან 41.5%-მდე), არამედ ზრდა გამოიწვია საქართველოში ნომინალური ხელფასების მნიშვნელოვანმა მატებამ (773 ლარიდან 1,592 ლარამდე).

გრაფიკი 8: შინამეურნეობების შემოსავლის სამი წყარო სასოფლო და საქალაქო ტიპის დასახლებებში



წყარო: საქსტატი - შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების კვლევა, PMC კვლევითი ცენტრის გამოთვლები

90/10 პროცენტულების შეფარდება

შინამეურნეობების შემოსავლების უთანასწორობის შეფასების ერთ-ერთი მეთოდი არის 90/10 პროცენტულის თანაფარდობა. ეს თანაფარდობა ადარებს საზოგადოებაში მაღალ და დაბალ შემოსავლიან შინამეურნეობებს. კერძოდ კი შინამეურნეობის მიერ 90-ე პროცენტულში მიღებულ შემოსავალს, მე-10 პროცენტულში მიღებულ შემოსავალთან. თანაფარდობის ზრდა აღნიშნავს უთანასწორობის ზრდას.

საქართველოში 90/10 პროცენტულის თანაფარდობა 2013 წელს 8-დან, 2020 წელს 6.7-მდე შემცირდა, თუმცა 2022 წელს 7.3-მდე გაიზარდა. საქალაქო ტიპის დასახლებებში მაჩვენებელი ეროვნულის მსგავსად შემცირდა, თუმცა კლება შედარებით უფრო თვალშისაცემი იყო (2013 წელს 8.7-დან 2020 წელს 6.7-მდე), 2022 წელს თანაფარდობა 7.3-დე გაიზარდა. სასოფლო ტიპის დასახლებებში განსხვავებული ტენდენცია აღინიშნა, როგორც ეროვნულ მაჩვენებელთან, ისე საქალაქო ტიპის დასახლებებთან შედარებით. კერძოდ, 2013 წლიდან 2019 წლამდე 90/10 პროცენტული თანაფარდობა გაიზარდა 7-დან 7.5-მდე. თუმცა, 2020 წელს დაფიქსირდა მნიშვნელოვანი კლება 7.5-დან 6.7-მდე, რასაც მოჰყვა ზრდა 2022 წელს - 7.2-მდე.

გრაფიკი 9: შემოსავლების 90/10 პროცენტულის თანაფარდობა



წყარო: საქსტატი - შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების კვლევა, PMC კვლევით ცენტრი-ის გამოთვლები

აღსანიშნავია, რომ თანაფარდობის მკვეთრი ვარდნა 2020 წელს დაფიქსირდა არა მხოლოდ სასოფლო ტიპის დასახლებებში, არამედ საქალაქო ტიპის დასახლებებშიც, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს COVID-19-ის პანდემიისა და შემდგომში სახელმწიფოს მხრიდან დაბალ შემოსავლიანი ოჯახებისთვის გაზრდილი სოციალური დახმარებებით. კერძოდ, 2020 წელს საქართველოში მე-10 პროცენტული შინამეურნეობის შემოსავალი გაიზარდა 7%-ით, ხოლო 90-ე პროცენტულის შემოსავალი 7%-ით შემცირდა. მსგავსი ცვლილებები დაფიქსირდა შინამეურნეობების შემოსავალში როგორც საქალაქო ტიპის დასახლებებში (მე-10 პროცენტულის შემოსავალი გაიზარდა 9%-ით და 90-ე პროცენტული შემცირდა 9%-ით), ისე სასოფლო ტიპის დასახლებებში (მე-10 პროცენტული შემოსავალი გაიზარდა 8%-ით და 90-ე პროცენტული შემცირდა 3.8%-ით).

მთლიანობაში, 2013-2022 წლებში, საქალაქო ტიპის დასახლებებში შემოსავლების უთანასწორობამ დაიკლო. ამის საპირისპიროდ, შემოსავლების უთანასწორობა გაიზარდა სასოფლო ტიპის დასახლებებში.

შინამეურნეობების მედიანური შემოსავლის განაწილება საქართველოს რეგიონებში

ბოლო ათწლეულში შინამეურნეობების შემოსავლის ტენდენციის უფრო ფართო სურათის გასაგებად, ასევე მნიშვნელოვანია, გავაანალიზოთ საქართველოს რეგიონებში შინამეურნეობების ნომინალური მედიანური შემოსავლის ცვლილება 2013 - 2022 წლებში.

გასულ ათწლეულში რეგიონებში შინამეურნეობების ნომინალური მედიანური შემოსავლის გადანაწილების ანალიზი აჩვენებს, რომ ყველა რეგიონში ზრდა ფიქსირდება. თუმცა სხვადასხვა რეგიონში ზრდის ტემპი განსხვავდება. აღსანიშნავია, რომ სამცხე-ჯავახეთში (148%) დაფიქსირდა ზრდის ყველაზე მაღალი ტემპი, ხოლო თბილისში (33%) - ყველაზე დაბალი. 2022 წელს შინამეურნეობების ნომინალური მედიანური შემოსავლის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი სამცხე-ჯავახეთში (1,514 ლარი) დაფიქსირდა. საპირისპიროდ, ყველაზე დაბალი შემოსავალი დაფიქსირდა გურიაში (840 ლარი).

დროის სხვადასხვა მონაკვეთში, რეგიონების მიხედვით შინამეურნეობების ნომინალური მედიანური შემოსავლის ეროვნულ დონესთან შედარებისას ჩანს, რომ 2013 წელს მხოლოდ თბილისსა და აჭარაში მცხოვრებ შინამეურნეობებს ჰქონდათ ეროვნულზე მაღალი ნომინალური მედიანური შემოსავალი. 2022 წელს კახეთმა, სამცხე-ჯავახეთმა, აჭარამ, იმერეთმა, რაჭა-ლეჩხუმმა და ქვემო სვანეთმა შინამეურნეობების შემოსავლის ნომინალური მედიანური მაჩვენებლით გადააჭარბეს ეროვნულ მაჩვენებელს, ხოლო თბილისი ეროვნულ დონეს ჩამორჩა.

გრაფიკი 10: შინამეურნეობების ნომინალური მედიანური შემოსავალი რეგიონების მიხედვით ლარებში



წყარო: საქსტატი - შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების კვლევა, PMC კვლევითი ცენტრის გამოთვლები

რეგიონებს შორის შინამეურნეობების ნომინალური მედიანური შემოსავლის ცვლილების შესაფასებლად, შეგვიძლია, შევადაროთ მაქსიმალური და მინიმალური, მედიანური და მინიმალური, და მაქსიმალური და მედიანური შემოსავლების მქონე რეგიონების თანაფარდობა. თანაფარდობის შემცირება მიუთითებს უთანასწორობის შემცირებაზე რეგიონებს შორის, ხოლო ზრდა - უთანასწორობის ზრდაზე.

აღნიშნული თანაფარდობის ანალიზი ცხადყოფს, რომ გაანალიზებულ პერიოდში შინამეურნეობების შემოსავლის უთანასწორობა რეგიონებს შორის ოდნავ შემცირდა (მაქსიმალური/მინიმალური თანაფარდობა შემცირდა 2-დან 1.8-მდე, მედიანა/მინიმალური თანაფარდობა 1.4-დან 1.3-მდე, ხოლო მაქსიმუმი/მედიანური თანაფარდობა შეუცვლელი დარჩა 1.4 მაჩვენებელზე).

მიუხედავად იმისა, რომ რეგიონებს შორის შინამეურნეობების შემოსავლის უთანასწორობა უმნიშვნელოდ შემცირდა, სხვაობა მაინც არსებითად რჩება. უფრო კონკრეტულად, 2022 წელს ყველაზე მაღალშემოსავლიანი რეგიონის შინამეურნეობების შემოსავალი თითქმის ორჯერ მეტი იყო, ყველაზე დაბალი შემოსავლის მქონე რეგიონთან შედარებით. გარდა ამისა, ყველაზე მაღალშემოსავლიან რეგიონში შინამეურნეობების შემოსავალი 1.4-ჯერ აღემატება საშუალო შემოსავლის მქონე რეგიონს.

გრაფიკი 11. შემოსავლების თანაფარდობა საქართველოს რეგიონებს შორის (მაქსიმუმი/მინიმუმი; მედიანური/მინიმუმი; მაქსიმალური/მედიანური)



წყარო: საქსტატი - შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების კვლევა, PMC კვლევითი ცენტრის გამოთვლები

სამართლებრივი შეტყობინება

ვებგვერდზე წარმოდგენილი პუბლიკაციები მომზადებულია PMC კვლევითი ცენტრის მიერ მხოლოდ საინფორმაციო და/ან მარკეტინგული მიზნებისთვის. პუბლიკაციებში ასახული ინფორმაცია წარმოადგენს მხოლოდ რჩევას და, შესაბამისად, მკითხველი თავად არის პასუხისმგებელი შინაარსის ნებისმიერ ინტერპრეტაციაზე. PMC კვლევითი ცენტრი არ იღებს პასუხისმგებლობას მკითხველის მიერ მასალების გამოყენების შედეგად წარმოშობილ პრეტენზიებზე. პუბლიკაცია წარმოდგენილია ისე, „როგორც არის", ყოველგვარი გამოხატული ან ნაგულისხმევი რეპრეზენტაციისა და გარანტიის გარეშე.

ზემოთ მოყვანილი აბზაცის ზოგად გზავნილთან წინააღმდეგობის გარეშე, PMC კვლევითი ცენტრი არ იძლევა გარანტიას, რომ:

- პუბლიკაცია მუდმივად ხელმისაწვდომი იქნება;
- რომ პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაცია არის სრული, ჭეშმარიტი, ზუსტი ან არ არის შეცდომაში შემყვანი.

PMC კვლევითი ცენტრი იტოვებს უფლებას, დროდადრო შეცვალოს პუბლიკაციების შინაარსი ისე, როგორც ამას მიზანშეწონილად ჩათვლის.

PMC კვლევითი ცენტრი თავიდან იხსნის სხვა მხარეების უფლებების დარღვევასა ან PMC კვლევითი ცენტრის პუბლიკაციების გამოყენების შედეგად გამოწვეულ ნებისმიერ ზიანზე ყოველგვარ პასუხისმგებლობას. PMC კვლევით ცენტრს არ აქვს მკითხველის წინაშე პასუხისმგელობის ვალდებულება (კონტრაქტის კანონით, დელიქტური კანონით თუ სხვაგვარად) პუბლიკაციის შინაარსთან, გამოყენებასა ან პუბლიკაციასთან კავშირის ნებისმიერ სხვა ფორმასთან დაკავშირებით.

მკითხველი აღიარებს, რომ როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის სუბიექტი, PMC კვლევითი ცენტრი დაინტერესებულია, შეზღუდოს თავისი ოფიცრებისა და თანამშრომლების პირადი პასუხისმგებლობა. მკითხველი თანხმდება, რომ მისთვის პუბლიკაციით გამოწვეული ნებისმიერ დანაკარგის შესახებ პრეტენზიებს არ წამოუყენებს პირადად PMC კვლევითი ცენტრის ოფიცრებს ან თანამშრომლებს.

მკითხველი თანხმდება, რომ გარანტიებისა და ვალდებულებების შეზღუდვები, რომლებიც მითითებულია ამ სამართლებრივ შეტყობინებაში, იცავს PMC კვლევითი ცენტრის მკვლევრებს, ოფიცრებს, თანამშრომლებს, აგენტებს, შვილობილ კომპანიებს, მემკვიდრეებს, უფლებამოსილ პირებს და ქვეკონტრაქტორებს, ისევე როგორც თავად PMC კვლევით ცენტრს.

თუ ამ სამართლებრივი შეტყობინების რომელიმე დებულება მოქმედი კანონმდებლობით არის ან აღმოჩნდება არ აღსრულებადი, ეს არ იმოქმედებს პუბლიკაციის სხვა დებულებების აღსრულებადობაზეც.

Research